საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამოხსენება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენა მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენა დაიწყო საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, 2023 წლის 1 მარტს (ბრძანების N-ბ 46.230603), რომლის მიხედვითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც განსაზღვრული იყო პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 17 აგვისტოს ბრძანების (ბ.46232296) თანახმად დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2024-2027წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამები (ქვეპროგრამები) ღონისძიებები და მათი მიზნის აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, მიმდინარე წლის სექტემბერში განხილული იქნა მერიის მიერ მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც შემდგომ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებთ, წარმოდგენილი იქნა საკრებულოში 2024 წლის ბიუჯეტთან ერთად. ამ დოკუმენტით განსაზღვრული იქნა 6 პრიორიტეტი, შესაბამისი პროგრამებით და ქვეპროგრამებით.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად, საფინანსო სამსახურის მიერ მოხდა საბიუჯეტო განაცხადების და მომუშავეთა რიცხოვნობის საორგანიზაციო ზღვრული მონაცემების მიღება საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე უხლის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს მიერ 5 ოქტომბრამდე მუნიციპალიტეტს მიეცა ფინანსური დახმარებისა და მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები.

კერძოდ:

2024 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19% შეადგენს 1 733 06.0 ათას ლარს, საიდანაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0,53%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 9 185.3 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წელს ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 2 400.0 ათასი ლარი და შესაბამისად სულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის 2024 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 11 585.3 ათას ლარს.

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ჩოხატაურის მინიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 290.0 ათასი ლარით.

საერთო ჯამში, გასულ წელთან შედარებით შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები არის

1 939.2 ათასი ლარით მეტი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საბიუჯეტო კოდექსის, საკრებულოს რეგლამენტის თანახმად მ/წლის ნოემბერში მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს წარმოუდგინა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის პროექტი თანდართული მასალებით.

წარმოდგენილი ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 16 511.3 ათასი ლარს.

მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები - 11 585.3

სხვა შემოსავლები - 4 523.0

არაფინანსური აქტივების კლებიდანმიღებული შემოსავალი - 400.0

მიზნობრივი ტრანსფერი - 178.1

ნაშთი - 10.0

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიზნობრივი ტრანსფერი გამოყოფილი იყო 290.0 ათასი ლარი, შემცირება გამოწვეულია იმით, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური გადავიდა თავდაცვის სამინისტროში.

გადასახდელები

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა - კოდი 01.00. – 5 430.8

მათ შორის სარეზერვო ფონდი 150.000

-ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 02.00 - 1 240.0

-დასუფთავება და გარემოს დაცვა - 03.00 - 2 050.0

-განათლება - 04.00 - 2 805.0

-კულტურა, რელიგია,გენდერული თანსწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 05.00 - 3 480.0

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 06,00 - 1 693.6

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78 - ე მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მიმდინარე წლის 20 ნოემბერს გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის.

2023 წლის 22 ნოემბერს მოხდა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საჯარო განხილვა, ჩოხატაურის სახვითი ხელოვნების გალერეაში, რომელსაც ესწრებოდნენ : ა(ა)ი.პ-ების წარმომადგენლები, საჯარო მოსამსახურეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მოქალაქეები, ახალგაზრდები და სხვ.

საბიუჯეტო კოდექსის 78 - ე მუხლის შესაბამისად მოხდა ბიუჯეტის პროექტის განხილვა კომისიებშსა და ფრაქციებში, გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას, 20-ზე მეტი შენიშვნა და წინადადება.

(შენიშვნები და წინადადებები თან ერთვის 5 გვერდი).

მერიის მიერ გათვალისწინებული იქნა შენიშვნებისა და წინადადებების უმრავლესობა (თან ერთვის 6 გვერდი) მ/წ 8 დეკემბერს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი წარედგინა საკრებულოს და კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარე წლის 11 დეკემბერს გამოქვეყნდა საკრებულოს აპარატის მიერ (საკრებულოს ოფიციალურ ვებ.გვერდზე).

8 დეკემბერს წარმოდგენილი 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი:

მთლიანი ბიუჯეტის მოცულობა - 15 577. 7;

ეს ბიუჯეტი გაზრდილია 2023 წლის ბიუჯეტთან შედარებით 1 939.2 ათასი ლარით;

საგადასახადო შემოსავლები - 11 585.3;

სხვა შემოსავალი - 3 582.4;

არაფინანსური აქტივების კლება - 400.0;

მიზნობრივი ტრანსფერი - 178.1;

ნაშთი - 10.0.

გადასახდელები:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა კოდი 01.00 – 5 323.9;
- -ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია კოდი 02.00 – 1 090.0;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა კოდი 03.00 – 1 660.0;
- განათლება კოდი 04.00 – 2 688.0;
- კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა,ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები კოდი 05.00 – 3 350.3;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა კოდი 06.00 – 1 643.3;

15 ნოემბერს წარმოდგენილ და შემდგომ 8 დეკემბერს შემოტანილ ბიუჯეტებს შორის სხვაობა შეადგენს 933.6 ათას ლარს.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარი, რომელიც პირველად წარმოდგენილ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 50,0 ათასი ლარით, რაც შესაბამისობაშია საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლთან.
- ჩოხტაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არა არის ასახული წინა წლებში წარმოდგენილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდისათვის საბიუჯეტო ასიგნებები, რაც დადებითი მოვლენა არის.

მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მ/წლის 18 დეკემბერის საკრებულოს სხდომაზე დადგა ადმინისტრაციულ წარმოებაზე, საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მ/წლის 22 დეკემბერს განხილული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და დამატებით იქნა გამოთქმული შენიშვნები, კერძოდ:

შემოსავლების ნაწილში - სხვა შემოსავლები განისაზღვრა 3 582.4 ათასი ლარით. საკრებულოს მიერ გაგზავნილ შენიშვნებში (პუნქტი N2) გარკვევით იყო ნათქვამი, რომ რეალურად საპროგნოზო მაჩვენებელი არის 2 000.0 ათასის ფარგლებში.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის მიერ ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი იქნა წერილი (N462335329, თან ერთვის), რომლშიც აღნიშნული იყო, რომ მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები არ იყო საკმარისი 2024 წლის დაგეგმილი გადასახდელების დასაფინანსებლად და ითხოვდა ფინანსური დახმარების გამოყოფას 1 300,0 ათასი ლარით.

ასევე, ფინანსთა სამინისტროსთან მერიის მიერ მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ საგადასახადო შემოსავლების დაკორექტირების ხარჯზე მოხდებოდა ბიუჯეტში დამატებით შემოსავლების ზრდა (დაახლოებით 300.0 ათასი ლარამდე).

ასევე, გამოთქმული იქნა შემდეგი შენიშვნები:

მერიამ არსებული საბიუჯეტო პარამეტრების ფარგლებში მოახდინოს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში შემდეგი ცვლილებების შეტანა:

- საქართველოს კანონის „პროფესიულ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ მოთხოვნის შესაბამისად, უნდა გაზარდოს მერიაში შრომის ანაზღაურება 100.0 ათასი ლარით, რისთვისაც უნდა შემცირდეს მერიის არაფინანსური აქტივების ზრდა 100.0 ათასი ლარით;

- საკრებულოს ხარჯს უნდა დაემატოს 60.0 ათასი ლარი, აქედან 40.0 ათასი ლარი უნდა მიემართოს შრომის ანაზღაურების მუხლში, ხოლო 20,0 ათასი ლარი - საქონელი და მომსახურების მუხლს;

- 50.0 ათასი ლარი დაემატოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დიკუმენტაციის შეძენის ხარჯებს (კოდი 02.05);

- 30.0 ათასი ლარი ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობის მუხლს (კოდი 05.03.01);

- 30.0 ათასი ლარი დაემატოს სტიქიური მოვლენების მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მცხოვრები ოჯახების დახმარების მუხლს (კოდი 06.02.03).

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნა მერიის მიერ 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში. აქედან გამომდინარე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მხარს უჭერს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს და საკრებულოს მიმართავს აღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად.